

Gia Arganashvili

გია არგანაშვილი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Path of a Small Country's Literature to World Literature

პატარა ქვეყნის ლიტერატურის გზა მსოფლიო ლიტერატურისკენ

It has been three decades since Georgian literature fled from the Soviet system, and today world literature readers expect not only an artistic chronicle of the totalitarian Soviet empire from us, but also a literary depiction of today's universal human problems, the representation of a small country's literature before the world literature and its readers.

We should hope that in the conditions of world globalization, our national literature, under the conditions of the country's sovereignty, will continue to remain in its leading position with the support of modern technologies.

Keywords: World literature, national literature, literary chronicle, globalization

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ლიტერატურა, ეროვნული ლიტერატურა, ლიტერატურული მატრიანე, გლობალიზაცია

მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვაგვარ განმარტებებში ჩვენ ისეთ დეფინიციას ვარჩევთ, რომლის მიხედვითაც ეს ცნება მხოლოდ ე.წ. დიად წიგნებს გულისხმობს, რომელთაც უნარი შესწევთ, გადალახონ ნაციონალური ლიტერატურის საზღვრები და თავისი წილი დაიდონ უნივერსალური ლიტერატურის საკაცობრიო სიმდიდრის შექმნაში.

ასეთ წიგნები უმეტესად დიდ ქვეყნებში იქმნება, რადგან დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანაში უფრო მეტი საშუალებაა ლიტერატურის ხელშეწყობისთვის და შესაბამისად, ამ მიმართულებით კულტურის წინსვლისთვის. თუმცა ლიტერატურის განვითარების მიხედვით, ჩვენი პლანეტის დიდი და პატარა ქვეყნების ლიტერატურად დაყოფა მანც ძალზე პირობითი გვეჩვენება, რადგან პატარა ქვეყნები ხშირად არ ემორჩილებიან ამ წესს და სხვებთან ერთად სწორედ ასეთი ქვეყნების ნაციონალური ლიტერატურები ქმნიან საყოველთაო სულიერ საუნჯეს და ამით ისინი ერთგვარად მიმართულებასაც კი კარნახობენ დიდი ერებისა და ენების ლიტერატურებს.

ზოგადადაც, დიდისა და პატარის ურთიერთდამოკიდებულებას შესანიშნავად გვიხსნის ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ თავის მცირე პუბლიკაციაში:

„მე მგონია, რომ ქვეყანაზედ დიდთან პატარაც არ გაჩენილიყო, ქვეყნიერობის მშვენიერებას ბევრი რამ დააკლდებოდა და თვით შემოქმედობის სიბრძნეზედაც ეჭვს შევიტანდით.

ნუთუ ქვეყანა მით უფრო მშვენიერ, მდიდარ და სავსე არ არის, რომ დიდს უშველებელს მუხასთან პატარა მდელოზედ პატარა იაცა ჰყვავის თავის საკუთარს ფერთა და სურნელებით, ანუ თვალგადუწვდენელ ზღვისა და ოკეანეს ტალღების გრიალთან ისმის ნელი ჩუხჩუხი და კამკამი პატარა წყაროსიცა?! („დროება“, 1884, №260, გვ. 1).

სწორედ ამ შეგნებით იარა და დღემდე მოაღწია ქართულმა ნაციონალურმა კულტურამ და მათ შორის ქართულმა მწერლობამ თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში და დარჩა, როგორც ერთი აუცილებელი და შეუცვლელი შენაკადი მსოფლიო ლიტერატურული მდინარეებისა.

ეს ყველაფერი მოხდა იმის მიუხედავად, რომ საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზთა გამო მსოფლიო ლიტერატურა ყოველთვის ჩვენი თვალთახვედის არეში არ იყო და ხშირად არც ის მსოფლმხედველური ხაზი იძებნებოდა, რომელსაც კაცობრიობის პროგრესული ნაწილი მიჰყვებოდა.

ასეთ იზოლაციაში, კომუნიკაციის სრული არარსებობის პირობებშიც ქართული მწერლობა თითქოს გუმანით გრძნობდა უნივერსალური ლიტერატურის არსებობას და ხშირად ბრმად მიჰყვებოდა მის დინებას, მხოლოდ დიდი ეპოქალური ცვლილებების შემდეგ ირკვეოდა, რომ ქართულ ლიტერატურას ამ მხრივ გზა არ გამრუდებია, გულისა და გონების ხმას მისთვის არასოდეს უღალატია.

ასე ხდებოდა სახელმწიფოს არარსებობის პირობებშიც, რომელიც მეტ-ნაკლები ანგარიშით მრავალ საუკუნეს ითვლის. ქართული აზროვნება არასოდეს მოწყვეტილა სამყაროს საზრისს, კაცობრიობის საერთო მიზანს, ბოლომდე არასოდეს ჩაძირულა ნიჰილიზმის ჭაობში და არც მისი ხმა ჩაკარგულა ხშირად გაუსაძლის ეროვნულ ტკივილში.

და მაინც, თუ ჩვენი არსებობა დაივიწყა პროგრესულმა კაცობრიობამ და ჩვენ ამის შეხსენება პერიოდულად გვიწევდა, ამის მიზეზი იყო არა ის, რაც გვიშლიდა ამ ურთიერთობის აღდგენას, არამედ ის, რომ ჩვენი ოცნების ჰორიზონტზე მხოლოდ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება ჩანდა და მხოლოდ ერთეულებს შეეძლო ისე ეფიქრა და ეაზროვნა, როგორც ამას თავისუფალი სამყარო მოითხოვდა.

უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა სახელმწიფოს განვითარებისა და ლიტერატურის წინსვლის საფუძველი, გაფართოვდა ჩვენი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ჰორიზონტი, შეიქმნა იდეოლოგიური და ტექნოლოგიური წინაპირობა იმისთვის, რომ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ცოცხალი პროცესებს ვადევნოთ თვალს.

ეს წლები თვისობრივადაც განსხვავებულია, რადგან ამჟამად ჩვენ მსოფლიოს თანამეგობრობის წევრები ვართ. უფლებებთან ერთად მოიმატა პასუხისმგებლობამ, რაც უკეთეს პერსპექტივას უჩენს ჩვენს ლიტერატურულ ამბიციას. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია თანასწორი ქვეყნების გვერდით დავდგეთ და ისე ვიაზროვნოთ, როგორც ამას თანამედროვე მსოფლიო და მისი ლიტერატურა მოითხოვს.

აქ კიდევ ერთხელ უნდა განვმარტოთ გოეთეს მიერ გამოყენებული ტერმინის – მსოფლიო ლიტერატურა- თანამედროვე მნიშვნელობა, რათა მასზე საუბრის დროს ყოველთვის თვალწინ გვქონდეს ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებასაც ამ გზაზე სიარული გვავალდებულებს.

„მსოფლიო მასშტაბით მოქმედი კულტურები და ლიტერატურები სრულიადაც არ წარმოადგენს თვითკმარ სისტემებს, არამედ – ჩარევებისა და გავლენებისათვის ღია ინტელექტუალურ სივრცეს. შესაბამისად, თუ უნივერსალური ლიტერატურა ქმნის ნიმუშებს, სტანდარტებს, კანონს, რომელთაც იზიარებს და ისრუტავს ნაციონალური მწერლო-

ბა, Vice Versa – ყოველი ღირებული მოდელი ნაციონალური მწერლობის თავისი ორიგინალობით ავსებს და ამდიდრებს უნივერსალურ სტანდარტს და, დღევანდელი გლობალური კაპიტალიზმის პირობებში, ახდენს თავისი პროდუქციის იმპორტირებას მარგინალურ, პერიფერიულ პოზიციებზე მყოფი ნაციონალური ლიტერატურებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, იყვნენ ორიგინალურები, არ ჩაიკარგონ და გაითქვიფონ მსხვილი ლიტერატურული მაგნატების მორევში და ხშირად წარმატებითაც აღწევენ მიზანს“ (რატიანი, (2015, გვ. 25).

ეს უკანასკნელი ფრაზა, როგორ რჩევა და გაფრთხილება ხელახლა უნდა გავიმეოროთ თანამედროვე ქართველი ავტორებისთვის – „მარგინალურ, პერიფერიულ პოზიციებზე მყოფი ნაციონალური ლიტერატურებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რათა ისინი „იყვნენ ორიგინალურები, არ ჩაიკარგონ და გაითქვიფონ მსხვილი ლიტერატურული მაგნატების მორევში და, ძალზე ხშირად, წარმატებითაც აღწევენ მიზანს“.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქართული ნაციონალური მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ორგანული ნაწილია, მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენი ლიტერატურის პირველი ოფიციალური შეხვედრა და საქმიანი გადაკვეთა ევროპასთან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე შედგა, სადაც ჩვენ მასპინძელი ქვეყანა ვიყავით. ეს იყო არა ცალკეული ავტორების შემოქმედებითი პრეზენტაცია, არამედ მთლიანად ქართული ლიტერატურის წარმოჩენის საშუალება. უშუალოდ ამ ღონისძიებისთვის წინასწარ ითარგმნა არაერთი ქართველი ავტორი. ქართული მწერლობა თავიდან აღმოჩნდა ევროპის რუკაზე. შესაბამისად, გაჩნდა შესანიშნავი პერსპექტივა, რომ ქართველი ავტორები ჯერ ევროპული, ხოლო შემდეგ მსოფლიო ლიტერატურული პროცესების თანამონაწილენი გამხდარიყვნენ. ეს კი თავისთავად გულისხმობდა ევროპულ კონტაქტებს და სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

ვერ ვიტყვით, რომ ეს შეხვედრა უნაკლოდ მომზადებული და სრულყოფილი იყო, თუმცა მან შინაგანად მაინც იმედიანად განაწყო ქართველი ავტორები და მოამზადა უცხოენოვან მწერლებთან შესახვედრად, რამაც მათგან განსაკუთრებული სამზადისი მოითხოვა არა მხოლოდ ლიტერატურული ორგანიზების თვალსაზრისით, არამედ ფსიქოლოგიური კუთხით უშუალოდ ქართველი მწერლობის და მისი მკითხველის მხრიდან..

იმედი უნდა ვიქონიოთ, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებშიც ისტორიულ ფესვებს დაყრდნობილი ნაციონალური კულტურა, როგორც კაცობრიობის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძირითადი ძალა, ქვეყნის სუვერენიტეტის და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელშეწყობით კვლავაც დარჩება თავის წამყვან პოზიციაზე.

აქვე უნდა აღვიშნოთ, რომ ლიტერატურული პროცესების გაჯანსაღებისთვის და საერთაშორისო ურთიერთობების გასაგრძელებლად მწერლის თავისუფლებაზე არანაკლებ პრობლემურია მკითხველის თავისუფლება და მწუხარებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ ჩვენში თითქმის არაფერი იწერება და ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში არ შეინიშნება რაიმე განსაკუთრებული ღონისძიება ამ მიმართულებით.

ლიტერატურული ტექსტის სწორად გაგება, უპირველესად, მკითხველის თავისუფლებას გულისხმობს, დიდი მწერლის შემოქმედების შეფასების დროს თავისუფალი მკითხველის არსებობის აუცილებლობა უფრო მეტი სიმძაფრით იჩენს ხოლმე თავს. ამ შემთხვევაშიც პრობლემა არა მწერალში, არა პერსონაჟში, არამედ თავისუფლებადაკარგულ მკითხველშია, რომელსაც მიზეზთა გამო სრულად აღარ გააჩნია მხატვრული კოდების გაშიფვრისა და ტექსტის ადეკვატურად აღქმის უნარი...

იმედი მაქვს, აქ იმის მტკიცება არ მოგვიწევს, რომ შემოქმედის წარმატება უშუალოდ მისი მკითხველის დაკვეთაზე დამოკიდებული. საბაზრო ეკონომიკისა და საყოველთაო ინტერნეტიზაციის პირობებში კი მკითხველი ხშირად სრულიად მოუმზადებელია იმ ლიტერატურული

ურთიერთობისთვის, რომელსაც ის საუკუნეების განმავლობაში დიდი მონდომებით ერთგულად ასრულებდა.

აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ დღეს ქართული მწერლობის საზღვრებს გარეთ გასვლის პირობებში ჩვენი ლიტერატურის შემკვეთი არ მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოელი მკითხველი. ეს, ერთი მხრივ, ჩვენი ლიტერატურისთვის ძალზე პოზიტიური მოვლენაა, მეორე მხრივ კი, სრულიად სხვა პასუხისმგებლობას უჩენს თავად ჩვენს მწერლობას.

უცნაურად არ მოგვეჩვენება თუ ვიტყვით, უცხოენოვანი მკითხველი ჩვენი ლიტერატურისგან უფრო მეტად ეგზოტიკურ ნაწარმოებებს მოეღოს, რადგან, მათი წარმოდგენით, კავკასია დღესაც ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მხარეა, სადაც ტრადიციულად მხოლოდ ველური ჯიგიტები და ამორძალები დააქროლებენ ცხენებს...

უცხოელ მკითხველს თავისი შეხედულება აქვს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, მას ჩამოყალიბებული აქვს პოსტსაბჭოთა სივრცის ერთიანი რამდენადმე სტერეოტიპული ხატი და მისი მოთხოვნილება და ინტერესიც, ამგვარი გარემოებების გათვალისწინებით, სწორედ ამ ჩარჩოს მიხედვით ყალიბდება. ეს კი შესაძლოა დამაზიანებელიც გახდეს მომავალი ურთიერთობისთვის და ჩვენი მწერლობაც იქცეს ოდენ ტოტალიტარული რეჟიმის მემატიანედ, რაც ბუნებრივია ხელს შეუშლის მის შემდგომ წინსვლას.

რა თქმა უნდა, ქართულ მწერლობას არ შეუძლია მთლიანად დაექვემდებაროს ამ დაკვეთას და მემატიანის მისთვის არასაკმარის სტატუსს დასჯერდეს, რადგან შემოქმედებითი ასპარეზი ბევრად უფრო ფართოა და იმედი მაქვს, ქართველი ავტორები მალე გათავისუფლდებიან ამ „ვალდებულებებისგან“, რომელიც მეტი სიციხადისთვის ვიზუალურად გამოცემული ნაბეჭდი პროდუქციის წითელ ფერშიც არის გამოხატული.

დამოუკიდებლობის პირობებში მსოფლიო ლიტერატურის მკითხველი ჩვენგან მოეღოს არა მხოლოდ ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის მხატვრულ მატიანეს, რეპრესიული სისტემის როლის განსაზღვრას პოსტსაბჭოთა საზოგადოების ჩამოყალიბებაში, არამედ დღევანდელი საკაცობრიო თემებისა და პრობლემების ლიტერატურულ ასახვას, პატარა ქვეყნის ლიტერატურის სათანადო პასუხისმგებლობას მსოფლიო ლიტერატურისა და მკითხველის წინაშე.

მეორე მხრივ, როგორ შეიძლება, რომ პატარა ქვეყნის ლიტერატურა თანამედროვე გლობალური სამყაროს ამოცანებს პასუხობდეს, მას ხომ საკუთარი პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს, რომელთა უმეტესობა სწორედ საკაცობრიო წუხილში ირევა და აქაც შემოქმედის დიდი ალღოა საჭირო, რათა ისინი ერთმანეთისგან განაცალკევოს.

ეს უნდა მოხდეს ნაბიჯ-ნაბიჯ, უმცირესიდან უდიდეს გამოწვევებამდე, საკუთარი წუხილის განზოგადების გზით, რომელიც საკუთარ თავში ჩაიტევს კლიმატის ცვლილების, ადამიანის უფლებების დაცვის, წინასწარ მოქმედებას მოსალოდნელი გლობალური საფრთხის აღსაკვეთად, რომელიც თანაბრად აღელვებს როგორც პატარა ქვეყნის, ასევე დიდი მსოფლიოს ყველა მოქალაქეს.

ამისთვის კი საკმარისი არ არის მხოლოდ ფრაგმენტული ე.წ. პრეზენტაციული შეხვედრები და გაცნობები, აუცილებელია მუდმივი კონტაქტი. ინტერნეტი დღეს ამის საშუალებას იძლევა. ეს საკითხი ქართველი ავტორისა და მკითხველის წინაშე ასე მძაფრად არასოდეს დასმულა. საქმე ეხება არ მხოლოდ ტექსტების შექმნას, არამედ მის დაუყოვნებლივ თარგმანს. ამისთვის კი აუცილებელია ამ მექანიზმის სრულიად გამართვა და იმ კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც სათარგმნელი მასალის არჩევას და თარგმნის უზრუნველყოფას გახდის შესაძლებელს..

ჩვენი აზრით, ეს პროცესი ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ ტექსტის თარგმანს მის ბეჭდვასთან ერთად უნდა წყდებოდეს. ეს, ერთი მხრივ, გაართულებს ბეჭდვის უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაიბეჭდება მხოლოდ ის ტექსტები, რომლებიც თანაბრად მოემსახურება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მკითხველს.

შიდლება ითქვას, რომ უკანასკნელ დრომდე მსოფლიო მკითხველისთვის მხატვრული ტექსტების შექმნა მხოლოდ დიდი კლასიკოსების საქმედ იყო მიჩნეული, ისინი კი, მოგვხსენებთ, ისე ქმნიდნენ მსოფლიო შედეგებს, რომ მისი „მომზადების“ მზა რეცეპტს არ უტოვებდნენ შთამომავლობას. დღეს კი, როდესაც ტექნიკური და ენობრივი ბარიერების მოხსნამ ან შესუსტებამ სრულიად შესაძლებელი გახადა, რომ თანამედროვე ავტორებმაც თანაბრად იზრუნონ როგორც ქართულენოვან, ასევე უცხოენოვან მკითხველისთვის, უნდა გავითვალისწინოთ ის სასრგებლო გამოცდილება, რომელსაც კლასიკოსთა მუშაობის სპეციფიკის შესწავლა იძლევა.

ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია წერის სტილი. თანამედროვე ავტორმა უნდა იზრუნოს წერის გამარტივებულ სტილზე, რომელიც ადვილად ითარგმნება ნებისმიერ უცხო ენაზე. აქ მხედველობაში გვაქვს დიალექტზე – საერთო სახალხო ენის ერთ რომელიმე განშტოებაზე წერის გატაცება, რომელიც მასობრივად მოედო ჩვენს ლიტერატურას. დიალექტი ლიტერატურული ენის შესანიშნავი სამკაულია და ხშირად მართლაც შეუცვლელია ხასიათის გამომერწვამი, პერსონაჟთა მეტყველებაში, დიალოგში. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი მომხიბვლელობა თითქმის სრულიად იკარგება თარგმანში. ამდენად, ჩვენში უნდა დასრულდეს ძნელად სათარგმნი ლიტერატურის მოჩვენებითი უპირატესობის განცდა, რათა ვირწმუნოთ უმარტივესი ლიტერატურის თეზა, რომ ღირებული ტექსტში მხოლოდ ის არის, რომელიც უდანაკარგოდ გადადის სხვა ენაში.

ისიც სამწუხაროა, რომ დღეს მხატვრული ტექსტები (მათ შორის კლასიკურიც) ითარგმნება მის კრიტიკული ანალიზის გარეშე. უცხოენოვან მკითხველს კი სურს გაიცნოს არა მხოლოდ ცალკეული ტექსტები, არამედ იმ ქვეყნის ლიტერატურული გარემო, ეროვნული ცნობიერება, ტრადიციები, რომელთა დანაკლისს მხატვრული ტექსტის გვერდით კრიტიკული ტექსტების არსებობა შეუვსებდა.

პატარა ქვეყნის ლიტერატურა რომ მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი გახდეს, ამისთვის საჭიროა მწერალმა მსოფლიო მოქალაქესავით იფიქროს და იაზროვნოს, ეს არ გულისხმობს ეროვნული იდენტობის და პიროვნული ინდივიდუალობის დაკარგვას და საკუთარი ქვეყნის დავიწყებას. აქ ჩვენ მოვერიდებით ზედმეტად მორალის კითხვას, რადგან ამის სახელმძღვანელოდ და გზამკვლელოდ ისევ ვაჭა-ფშაველას მშვენიერი ესე „კოსმოპოლიტიზმი თუ პატრიოტიზმი“ გამოგვადგება:

„გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწოროდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ ვაჭა-ფშაველა (1968, გვ, 253).

გამოყენებული ლიტერატურა:

ვაჟა-ფშაველა, (1968), წერილები, თხზულებათა სრული კრებული, ტომი 9, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
რატიანი, ი. (2015). ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

References:

Rat'iani, I. (2015). Kartuli mts'erloba da msoplio lit'erat'uruli p'rotsesi. [Georgian writing and world literary process].
Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba.
Vazha-P'shavela, (1968). Ts'erilebi, t'khzulebata sruli k'rebuli. T'omi 9. [Letters. Complete Collection of Works, Vol. 9].
Tbilisi: "Soviet' Georgia".